31 დეკემბერი...

სახლში როგორც ყოველთვის ისევ მარტო ვარ... მალე თორმეტი გახდება და ახალი 2018 წელიც შემოაბიჯებს... ანუკა ძილს ვეღარ მოერია და ღრმად ჩაეძინა... 2017 წლის უკანასკნელ წამებს ვითვლი საახალწლოდ გაშლილ სუფრასთან სრულიად მარტო...

და აი დადგა ახალი წელიც, იმედების მომცემი და გარეთ ახალი წლის შესაფერისი ჟრიამული ისმის, ერთმანეთს გასძახიან გოგო-ბიჭები, მოხუცები თუ ახალგაზრდები, მეგობრები თუ უბრალო ნაცნობები ან სრულიად უცნობებიც კი... ლოცავენ ერთმანეთს, უღიმიან, ტკბილად ეუბნებიან და ოცნებების ახდენას უსურვებენ...

მე კი... მე კი ისევ გაშლილ სუფრასთან ვზივარ და წარბიც არ შემიტოკავს... ანუკას რომ არ ჩასძინებოდა იქნებ მისი ოცნებების და მისი ღიმილის ხათრით მეც გავსულიყავი აივანზე და ჩვენც სხვების მსგავსად მიგვეღო მოლოცვები და სხვებისთვისაც გვესურვებინა ბედნიერი წელიწადი...

ესეც არ ვიცი როგორ, ალბათ უფრო ინსტიქტურად, ხელში ჭიქა ავიღე და ღვინით პირამდე ავავსე ხელი მაღლა ავწიე და ცოტა მოვსვი... ხელი არაფრისთვის მიხლია... ანიკას დავხედე, რომ დავრწმუნებულიყავი მშვიდად ეძინა თუ არა, პლედი ავიღე და გაშლილი სუფრის გვერდზე სავარძელში ჩავჯექი, თან ტელევიზორი ჩავრთე, რომ არ ჩამძინებოდა... მაგრამ, როგორც ჩანს ჩამეძინა...

პირველი იანვარი

ნახევრად ძილბურანში ჩაძირულს ხმა ჩამესმოდა თითქოს ეჟვანგამობმული ცხენები მირბიან სადღაცო, მაგრამ ვეღარ გავერკვოე სიზმარი იყო თუ ცხადი...

- გაიღვიძე დედაკაცო, ჩაგძინებია...

ფეხზე ვიღაცის ფეხი მომედო და ალკოჰოლის მძაფრმა სუნმა სრულიად გამომაფხიზლა და მივხვდი რომ ის სიზმარი და ეჟვანგამობმული ცხენები კი არა, ჩემი ქმრის გასაღებების ჩხაკუნი იყო... სჩვეოდა ხოლმე კარის გაღებისას გასაღებების ასხმას ააშხრიალებდა, თითქოს ზარს რეკავდე - ოჯახში მე მოვდივარო...

მთელი ღამე ვეღარ დავიძინე, მთელი სახე მეწვოდა ტკივილისგან და ტირილისაგან თავი საშინლად მტკიოდა... საქმეს გულს გადავაყოლებმეთქი და სახლი ტირილ-ტირილით მივალაგე, გაშლილი სუფრა ავალაგე და ანიკას ფეხის ხმის გაგონებაზე მივხვდი რომ ამასობაში დამათენდა კიდეც... უცებ დავაგდე გასახეხად აღებული ქვაბი და აბაზანაში შევვარდი, ანიკა უკან გამომეკიდა და კარზე კაკუნს არ მოეშვა, შევეცადე მისი ღიმილისთვის გამეღიმე, კარი გავაღე.

- ახალ წელს გილოცავ დე, ლამაზი, ფერადი და ნათელი დღეები გქონებოდეს!!!

ანიკამ მიყურა, მიყურა და მითხრა: _

- დე, ასე რატომ გამოიპრანჭე? ვისთან მივდივართ სტუმრად?.. მაგრამ დე, დაიცა... მე შენი მაკიაჟი არ მომწონს, თვალები ძალიან ცუდად გაქვს შეღებილი და ტუჩსაცხიც არასწორად წაგისვამს...

თავი ვეღარ შევიკავე და ატირებულმა ანუკა გულში მაგრად ჩავიკარი...

- დე, ისევ?!
- ჰო ისევ...
- დე, მე არ მიყვარს მამა...
- ეს მეტჯერ აღარ თქვა, კარგი?!

აღარაფერი უთქვამს...

8 მარტი 2018

დღეიდან ეს დღიური დაიხურება და მასში აღარაფერს ჩავწერ ჩემი უბედური ოჯახური ცხოვრების შესახებ, რადგან მტკიცედ გადავწყვიტე რომ ცხოვრება ახალი ფურცლიდან დავიწყო და ასეთ ძალადობრივ ცხოვრებას აღარ შევეგუო...

გუგასთან გუშინდელი კამათის შემდეგ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ის არასოდეს შეიცვლება და არ მინდა ცხოვრება ამ ძალადობას შევწირო.

ახალ დღიურში ცხოვრებას ახალი ფურცლიდან დავიწყებ და იქ მხოლოდ ბედნიერი დღეები იქნება აღწერილი, რადგან ანიკასთან ერთან ბედნიერი ცხოვრება მაქვს გადაწყვეტილი...
სახლიდან წამოვედი...
სამუდამოდ...
დღეს ქალითა დღეა, მინდა მეც ვიგრძნო რომ ქალი ვარ... მინდა მჯეროდეს რომ ბედნიერების ღირსი ვარ და ამის სრული უფლებაც მაქვს...

მე მონა არ ვარ... და თუ ოდესმე ასე იყო ის მონა დღეს, აქ, ამ ძველ ჩანაწერებში ჩაიმარხება სამუდამოდ...

ცხოვრება მშვენიერია და ნურავის მისცემთ უფლებას მასზე უარი გათქმევინოთ... მე ზუსტად ამას ვაპირებ...